# კომპიუტერული ქსელი და სისტემები



**მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:**
მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
Fourth level vocational qualification in Computer network and systems;
**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა -** სრული ზოგადი განათლება
**მიზანი:**
პროგრამის მიზანია კომპიუტერული ქსელისა და სისტემების კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს კომპიუტერის აპარატურულ-პროგრამული უზრუნველყოფის, მცირე ზომის ქსელების ორგანიზებისა და გამართვის, ბაზისური სერვერული სერვისების ადმინისტრირების უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

**სწავლის შედეგები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
- სერვერული ინფრასტრუქტურის გამართვისთვის საჭირო პროცედურების აღწერა;
- Windows და Linux სერვერული ოპერაციული სისტემის ინსტალაცია;
- ცენტრალური დირექტორიების სერვისების (Directory Service) ბაზისური ადმინისტრირება;
- ქსელური მისამართების მართვის სისტემის (DHCP) ბაზისური ადმინისტრირება;
- დომეინური სახელების სერვერის (DNS) ბაზისური ადმინისტრირება;
- ფაილური და ბეჭვდის სერვერის ბაზისური მართვა;
- სერვერის ვირტუალიზაციის ტექნოლოგიის ბაზისური გამართვა.
- Linux-ის საინსტალაციო პაკეტების მართვა;
- Linux-სა და UNIX-ს ოპერაციული სისტემების ბრძანებების გამოყენება;
- Linux-ის ფაილური სისტემის მართვა;
- კომპიუტერული ქსელის ფიზიკური და ლოგიკური ტოპოლოგიის ბაზისური გამართვა;
- სტატიკური მარშრუტის კონფიგურირება;
- დინამიური მარშრუტიზაციის ბაზისური კონფიგურირება;
- კომუტატორის ბაზისური კონფიგურირება;
- ვირტუალური ლოკალური ქსელის ბაზისური კონფიგურირება.

**კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო საკუთრებაში მყოფ კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციის ტექნოლოგიები, მცირე და საშუალო ზომის საოფისე ქსელებში კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების ტექნიკოსად, რომლის მოვალეობებშიც შედის კომპიუტერული სისტემების აპარატურულ-პროგრამული და ქსელური სერვისების გამართვა-ადმინისტრირება.

**პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:**

- **მოცულობა:** 90 კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა: 18** სასწავლო თვე

**პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები:**

- შპს. სერვის ცენტრი
- შპს. ნიუ ტეჩ სერვისი
- ი.მ. ვახტაგ მაკარაძე
- სსიპ. საზოგადოებრივი მაუწყებელი აჭარის ტელევიზია)